ნანა ციხისთავი

ისტორიის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

რას წარმოადგენს სამოქალაქო რელიგია აშშ-ში და როგორია მისი როლი ქვეყნის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ სფეროებში?

ნანა ციხისთავი
ისტორიის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის აფილირებული ასოცირებული პროფესორი

რას წარმოადგენს სამოქალაქო რელიგია აშშ-ში და როგორია მისი როლი ქვეყნის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ სფეროებში?

ანოტაცია:

განვითარებულ ქვეყნებს შორის აშშ ყველაზე რელიგიური სახელმწიფოა. მას შემდეგ, რაც რელიგიურ რეპრესიებს გაქცეულმა კოლონისტებმა ამერიკის დასახლება დაიწყეს და დღემდე, აშშ–ში განსხვავებული რელიგიისა და ტრადიციების მქონე თემებისთვის რელიგიის თავისუფლება ცენტრალურ საკითხად რჩება.

აშშ–ს მაღალ რელიგიურობასა და იქ არსებულ რელიგიის თავისუფლების კულტურაზე მეტყველებს რელიგიური თემების მრავალფეროვნება. გამუდმებით იქმნება ახალი რელიგიური ჯგუფები, ახალი რელიგიური მოძღვრებები, რაც ამ ქვეყანას მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე რელიგიურ სახელმწიფოდ აქცევს.

აშშ–ში, ევროპისაგან განსხვავებით, არ არსებობს სახელმწიფო ეკლესია, პირიქით, ამერიკაში სახელმწიფო და ეკლესია მკვეთრადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული. სამოქალაქო რელიგია დიდ მნიშვნელობას იძენს დასავლეთში. ის გვევლინება, როგორც ამერიკული მოვლენა და მოქმედებს სოციეტალურ, ისევე პოლიტეტალურ დონეზე. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაურები ხშირად იყენებენ სამოქალაქო რელიგიის პრინციპებს საერთო ეროვნული და სამოქალაქო ღირებულებითი ბაზისის ფორმირებისათვის, რამაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოებრივი აზროვნება კერძო, სამოქალაქო და პოლიტიკურ სივრცეში. სამოქალაქო რელიგია დღეს ამერიკული კულტურის ყველაზე თვალსაჩინო განზომილებას წარმოადგენს. სამოქალაქო რელიგია, გარდა სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა, ამერიკული ეკონომიკური სისტემის გამართლების ელემეტებსაც შეიცავს. აქ საუბარია კაპიტალიზმის ლეგიტიმაციაზე, სადაც მრავლადაა პარალელები ეკონომიკურ პრინციპებსა და ბიბლიურ მოძღვრებებს შორის. ,,ქრისტიანობის ფუნდამენტური პრაქტიკული პრინციპი ასეთია: ,,მიეცი და მოგეცემა", მაგრამ თუ კერძო საკუთრება არ გაქვს, ვერაფერს გასცემ." სოციალიზმი ქრისტიანობას ემტერება, ხოლო კაპიტალიზმი, თავისი არსით, არის ცხოვრების ისეთი ფორმა, რომელიც ძალიან ახლოს დგას რელიგიურ ჭეშმარიტებასთან." ამერიკა გლობალურ პასუხისმგებლობას არა მხოლოდ იმიტომ კი არ ატარებს, რომ ღვთის რჩეული ერია, არამედ იმიტომაც, რომ ის მდიდარია რესურსებით, პასუხისმგებელია მსოფლიოს უამრავ თანამედროვე პრობლემაზე და მსოფლიო თანამეგობრობის წევრია. აქედან გამომდინარე, ამერიკა მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს სიძნელეების დაძლევის საქმეში. ლიბერალური სამოქალაქო რელიგიის ბირთვს არა ებრაულ–ქრიატიანული ტრადიციები, არამედ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები დგას.

განვითარებულ ქვეყნებს შორის აშშ ყველაზე რელიგიური სახელმწიფოა. მას შემდეგ, რაც რელიგიურ რეპრესიებს გაქცეულმა კოლონისტებმა ამერიკის დასახლება დაიწყეს და დღემდე, აშშ–ში განსხვავებული რელიგიისა და ტრადიციების მქონე თემებისთვის რელიგიის თავისუფლება ცენტრალურ საკითხად რჩება. რელიგიას გავლენა აქვს საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მრავალ ასპექტზე.

პოლიტიკასა და რელიგიას შორის მჭიდრო კავშირზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ აშშ-ს პრეზიდენტებისგან მხოლოდ 6 არიდებდა თავს საკუთარი რელიგიური შეხედულებების ღიად დაფიქსირებას. თუმცა, არც ჯორჯ ბუშ უფროსის ინტერვიუ უნდა დავივიწყოთ, როდესაც მას ჟურნალისტი ვიეტნამის ომის დროს ორმხრივ ცეცხლში მოხვედრის ისტორიაზე ესაუბრებოდა. პრეზიდენტმა გაიხსენა როგორ ლოცულობდა, რომ გადარჩენილიყო და იქვე დაამატა, ვფიქრობდი რა კარგია, რომ ჩემს ქვეყანაში სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა არისო. ეს დელიკატური ბალანსი რელიგიურობასა და სახელმწიფოს რელიგიისგან გამიჯვნის ინტერესებს შორის ამერიკის შეერთებული შტატების განმასხვავებელია სხვა დემოკრატიებისგან და მისთვის დამახასიატებელი რელიგიის თავისუფლების გასაღებად შიძლება მივიჩნიოთ.

აშშ-ს ჩრდილოეთ შტატების დასახლება ჯერ კიდევ მე-17 საუკუნემდე დაიწყეს ევროპიდან დევნილმა რელიგიურმა უმცირესობებმა. როჯერ უილიამსი, ენ ჰეჩინსონი, უილიამ პენი და სხვები ის რელიგიური ლიდერები არიან, რომელთაც აშშ-ს დამოუკიდებლობამდე ჩაუყარეს საფუძველი სახელწიფოსა და ეკლესიის განცალკევების და რელიგიის თავისუფლების პრინციპებს კოლონიებში. მასაჩუსეტი, პენსილვანია, ვირჯინია, მერილენდი სწორედ რელიგიური თემების მიერ იყო დაფუძნებული და კონსტიტუციის მიღებამდე, ამ შტატებში რელიგიის თავისუფლების პრინციპები უკვე არსებობდა.

აშშ-ს მაღალ რელიგიურობასა და იქ არსებულ რელიგიის თავისუფლების კულტურაზე მეტყველებს რელიგიური თემების მრავალფეროვნება. გამუდმებით იქმნება ახალი რელიგიური ჯგუფები, ახალი რელიგიური მოძღვრებები, რაც ამ ქვეყანას მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე რელიგიურ სახელმწიფოდ აქცევს.

Pe. წ. ''**Research Center**"-ის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის 70%-ზე მეტი რელიგიურია და აქედან 10 შტატში 50%-ზე მეტი რეგულარულად იღებს მონაწილეობას რელიგიურ მსახურებაში და მხოლოდ ერთ შტატშია აქტიურ მორწმუნეთა რიცხვი 25%-ზე დაბალი. მსოფლიოში ყველაზე მეტი ქრისტიანი აშშ-ში ცხოვრობს. 10 მოქალაქიდან 7 ქრისტიანია და დანარჩენი სხვა რელიგიური ჯგუფის, დენომინაციისა თუ თემის წევრი.

რელიგიის თავისუფლების პრინციპს, როგორც სამართლით დაცულ ღირებულებას მერილენდის შტატის დამფუძნებელ დოკუმენტში ჩააუყარა საფუძველი ლორდმა ბალტიმორმა. მას შემდეგ რელიგიის თავისუფლების იდეა გავრცელდა პენსილვანიაში და საბოლოოდ, 1791 წელს კონსტიტუციის ნაწილად იქცა. პირველი შესწორება რელიგიის თავისუფლების დაცვის და სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის გარანტიაა. თომას ჯეფერსონი 1802 წელს დანბარის ბაპტისტური საზოგადოებისადმი მიწერილ წერილში წერს: „ვიზიარებ ამერიკელი ხალხის უზენაეს ნებას და კანონს, რომელიც აცხადებს, რომ: კანონმდებელმა „არ უნდა მიიღოს კანონი, რითაც მხარს დაუჭერს ან აკრძალავს რომელიმე რელიგიას" და ამგვარად აღმართავს კედელს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის".[1]

"God bless America" - ხშირად გვესმის ამერიკელი პოლიტიკოსების, ენტერპრინიორების, მუსიკოსების, სპორტსმენების, საზოგადოებისთვის ცნობილი ადმიანებისგან. გამოთქმა ძალიან კარგად გადმოსცემს ამერიკული საზოგადოების განწყობას, არ დაკარგოს რელიგია საჯარო სივრციდან, რაზეც საზოგადოებრივი აზრის კვლევებიც მიუთითებს. მიუხედავად რელიგიური შეხედულებების ცვლილებისა (ზრდასრული მოსახლეობის 40%-ს ერთხელ მაინც აქვს შეცვლილი რელიგიური შეხედულება, რწმენა) და მრავალფეროვნებისა, ამერიკელების 30%-ზე მეტი მხარს უჭერს ეკლესიების აქტიურობას პოლიტიკურ პროცესებში.[2]

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ, თუ კარგად გავეცნობით ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს რელიგიის თაობაზე, ასევე ამერიკელების რელიგიურ წარმოდგენებს, ადვილად მივხვდებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები რელიგიური სახელმწიფოა, გაცილებით რელიგიური, ვიდრე, მაგალითად გერმანია, ან ევროპის რომელიმე სახელმწიფო. ეს ასეა მიუხედავად იმისა, რომ აშშ-

[1] https://mythdetector.ge/ka/mithi-thithqos-amerikelebi-ebrdzvian-religias-usaphudzvloa/

[2] https://mythdetector.ge/ka/mithi-thithqos-amerikelebi-ebrdzvian-religias-usaphudzvloa/

ში, ევროპისაგან განსხვავებით, არ არსებობს სახელმწიფო ეკლესია, პირიქით, ამერიკაში სახელმწიფო და ეკლესია მკვეთრადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული. აშშ–ში რელიგია კომუნიკაციის ხელშემწყობი ფაქტორია. რელიგიური ინსტიტუტები და ჯგუფები შეხვედრებისა და საერთო მოქმედებების შესაძლებლობებს იძლევიან. რელიგიური კუთვნილება ბიძგს აძლევს ისეთი კავშირების შექმნას, რომელიც ფრიად სასარგებლოა ადამიანისათვის ოჯახში, სამსახურში, პოლიტიკასა თუ მოღვაწეობის სხვა სფეროებში. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს ის, რომ, მაგალითად, მნიშვნელოვან თანამშრომლებთან ურთიერთობის დამყარებისათვის ადამიანს ხშირად პროფესიულ წარმატებასთან შედარებით ეკლესია და სინაგოგა უფრო ეხმარება. რელიგია საზოგადოებას აშშ–ში ხშირად სხვადასხვა რელიგიებსა თუ დენომინაციებს შორის ურთიერთობებისათვის საუკეთესო შესაძლებლობებს სთავაზობს. მაგალითად, კალიფორნიის შტატში, ქალაქ ბერკლიში, ფუნქციონირებს კურსდამთავრებულ თეოლოგთა კავშირი (Graduate theological Union [www.gtu.edu]), რომელიც თეოლოგიური პროფილის მქონე საერთო საზოგადოებრივ–საგანმანათლებლო დაწესებულებაა, განკუთვნილი სასულიერო თუ ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ეს ინსტიტუტი თანაბრად ხელმისაწვდომია კათოლიკეების (დომინიკანელების, ფრანცისკანელების, იეზუიტების), ლუთერელების, ანგლიკანების (ეპისკოპალური ეკლესია), პრესბიტერიანელების, ბაპტისტების, უნიატების, სხვა პროტესტანტების, მართლმადიდებელი ქრისტიანების, იუდეველებისა და ბუდისტებისათვის. აშშ–ში რელიგია კომუნიკაციისათვის დამაბრკოლებელიც შეიძლება აღმოჩნდეს. ბზარი რელიგიურ ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის ძალზე დიდია. ფუნდამენტალიზმი და ევანგელიზმი, ერთი მხრივ, განხეთქილებას, მეორე მხრივ კი აგრესიულ მისიონერობას აძლევს ბიძგს. მსგავსი შეხედულებების მქონე ადამიანები ძალადობენ ყველაფერზე, რაც უღმერთობად (მაგალითად, აბორტის კლინიკები) მიაჩნიათ. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შატატების ბევრ საჯარო ბიბლიოთეკასა და სკოლაში წააწყდებით ცენზურას, რაც უმეტეს წილად რელიგიური მოსაზრებებითაა განპირობებული. რელიგია აშშ–ში მეტად წინააღმდეგობრივ ფენომენს წარმოადგენს:

- თუ ამერიკა, ერთი მხრივ, რელიგიური მოსაზრებების გამო დევნილთა ნავსაყუდელი იყო, მეორე მხრივ, გულწრფელი ათეისტი ვერასოდეს გახდება ამ სახელმწიფოს პრეზიდენტი.
- თუ აშშ, ერთი მხრივ, წარმოდგენს ერთგვარ რელიგიურ სუპერმარკეტს–პოზიტიური თვალსაზრისით, მეორე მხრივ, ამ ქვეყანაში ფართო გასაქანი აქვს რელიგიურ შეზღუდულობას (მაგალითად ევოლუციონიზმის თეორიასთან მიმართებაში).
- თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთი მხრივ, სახელმწიფო და ეკლესია რეალურადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული, მეორე მხრივ, ამერიკელი პოლიტიკოსები იყენებენ რელიგიას თავიანთი ინტერესებისათვის[1].

2010 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევის თანახმად, რელიგიურობის საკითხი შეერთებული შტატების მოსახლეობაში, მზარდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. აშკარა დაპირისპირება შეინიშნება რელიგიურად განწყობილ პირებსა და მათ შორის, ვინც რელიგიას მტრულად აღიქვამს. თუმცა, როგორც «ამერიკის ხმის» კორესპონდენტი ჯერომ სოკოლოვსკი ვაშინგტონიდან იუწყებოდა, გამოკვლევის შედეგებმა იმავდროულად ცხადყო ისიც, რომ ამერიკელებს შორის, ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლობის დონე უაღრესად მაღალია. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ პატნამი ამერიკულ აკადემიურ წრეებში ძალიან გავლენიან ფიგურად ითვლება. 1995 წელს მან გამოაქვეყნა ცნობილი ნაშრომი, რომელმაც ამერიკაში სამოქალაქო ცხოვრების აღქმა აბსოლუტურად გარდაქმნა. ნოტრ – დამის უნივერსიტეტის პროფესორთან, დევიდ კემპბელთან ერთად, პატნამმა ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ამერიკის ცხოვრებაში რელიგიის როლის ყოვლისმომცველი გამოკვლევა გამოაქვეყნა. ყველა რელიგიური მიმდევრობისა და სოციალურ–ეკონომიკური სტატუსის 3,000 რესპონდენტის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე დაყრდნობით, მათ აღმოაჩინეს, რომ ამერიკულ საზოგადოებაში ე.წ. „რელიგიური განხეთქილება“ წარმოიქმნა. ძალიან რელიგიური ამერიკელები, როგორც წესი, რესპუბლიკელები არიან და მათ კონსერვატიული მსოფლმხედველობა ახასიათებთ. ხოლო საერო ფასეულობების მხარდამჭერი პირები პროგრესულ

[1] https://sites.google.com/site/amerikatiko/religia

შეხედულებებს იზიარებენ ან არჩევნების დროს ხმებს დემოკრატიულ პარტიას აძლევენ. პატნამი აღნიშნავს, რომ ამერიკულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რელიგიური განხეთქილება ახალ ფენომენს წარმოადგენს: „ყოველდღიურ პირად ცხოვრებაში რელიგიური შეხედულებების მიუხედავად, ამერიკელები ერთმანეთთან ღრმა, მჭიდრო და პირად კავშირებს ანვითარებენ " – აღნიშნა პატნამმა. რით არის განპირობებული ამგვარი მდგომარეობა? პატნამს მიაჩნია, რომ თვით რელიგიურობის თემა გახდა დრეკადი. გამოკვლევის შედეგების თანახმად, ამერიკელების დაახლოებით ერთმა მესამედმა რელიგია შეიცვალა. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა რელიგიური მიმდევრობების წარმომადგენლების შეუღლება ქორწინებების ერთ მესამედზე მეტს შეადგენს: „თითქმის ყველა ამერიკელს განსხვავებული რელიგიური მიმდევრობის წარმომადგენელი უყვარს – არა აქვს მნიშვნელობა იქნება ეს ცოლი, ქმარი თუ ახლო მეგობარი. ამდენად, რთულია ამა თუ იმ რელიგიის წინააღმდეგ გალაშქრება, როცა ამ მიმდევრობის წარმომადგენელი გიყვარს ან პირადად იცნობ "– აღნიშნავს პატნამი. მეცნიერის ოჯახი გამოკვლევაში ნახსენებ დაკვირვებებს კარგად ასახავს. პატნამი პროტესტანტ–მეთოდისტთა ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. მოგვიანებით, მან ცოლად ებრაელი ქალი შეირთო და დაახლოებით 50 წლის წინ იუდაიზმი მიიღო. ამასობაში პატნამის და ცოლად კათოლიკეს გაჰყვა, მაგრამ მისი შვილები ევანგელისტი პროტესტანტები არიან.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ ამერიკელების 80 პროცენტს სჯერა, რომ „ბევრი რელიგიური მიმდევრობა ფუნდამენტურ ჭეშმარიტებას შეიცავს." ხოლო 89 პროცენტს მიაჩნია, რომ სხვა რელიგიების წარმომადგენლებიც სამოთხეში მოხვდებიან. პატნამი და კემპბელი აღნიშნავენ, რომ ამგვარი რელიგიური შემწყნარებლობა ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამის გამო, ოქტომბერში გამოქვეყნებულ წიგნს მათ **„ამერიკული ლმობიერება"** დაარქვეს. როდ დრეჰერი კონსერვატიული მიმომხილველია, რომელმაც რელიგია რამდენჯერმე გამოიცვალა. მეთოდისტ–პროტესტანტულ ოჯახში დაბადებულმა, მან მოგვიანებით კათოლიკური სარწმუნოება მიიღო. ხოლო ახლა კი მართმადიდებლური ეკლესიის წევრი გახლავთ. იგი გამოკვლევის ავტორების ოპტიმისტურ განწყობას არ ეთანხმება: „ვფიქრობ, რელიგიური ტრადიციისგან დაშორება ტრაგედიაა, რადგან ჩვენს ქვეყანაში ხალხს ნებისმიერი რელიგიური მიმდევრობის არჩევა შეუძლია. ამგვარ არჩევანს არავითარი დატვირთვა არ გააჩნია, რადგან ყველაფერი პირადი არჩევანის გამოხატულებას უკავშირდება" – დასძენს დრეჰერი.[1] საკუთარი შეხედულების დადასტურების მიზნით დრეჰერი აღნიშნავს, რომ გამოკვლევაში ნათქვამია, რომ 18–დან 29–წლამდე ასაკის კატეგორიაში ამერიკელების 30 პროცენტს არავითარი რელიგიური მსოფლმხედველობა არ გააჩნია, რაც 1990 წლის მაჩვენებელს თითქმის სამჯერ აღემატება.

სამოქალაქო რელიგია დიდ მნიშვნელობას იძენს დასავლეთში. ის გვევლინება, როგორც ამერიკული მოვლენა და მოქმედებს სოციეტალურ, ისევე პოლიტეტალურ დონეზე. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაურები ხშირად იყენებენ სამოქალაქო რელიგიის პრინციპებს საერთო ეროვნული და სამოქალაქო ღირებულებითი ბაზისის ფორმირებისათვის, რამაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოებრივი აზროვნება კერძო, სამოქალაქო და პოლიტიკურ სივრცეში.

სამოქალაქო რელიგია – ტერმინი ჯერ კიდევ ჟან–ჟაკ რუსომ გამოიყენა, ხოლო თანამედროვე ლექსიკაში ამერიკელმა სოციოლოგმა რობერტ ბელამ დაამკვიდრა. მან 1980 წელს გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მოცემული იყო მისი ადრეული ნაშრომით გამოწვეული დისკუსიის ერთგვარი ანალიზი. ის აღიარებს, რომ "სამოქალაქო რელიგია" არის ცნება, რომელიც "უკვე ორი ათასი წელია გამუდმებით გაისმის ისტორიაში". მორინ ჰენრი წიგნში "ძალაუფლებით თრობა" აღნიშნავს, რომ ისტორიულ–ფილოსოფიური ნარკვევი სამოქალაქო რელიგიის შესახებ ისევე ძველია, როგორც პოლიტიკური საზოგადოება. როგორც ჰენრი, ასევე ბელა აღნიშნავენ, რომ პირველადი ფორმა სამოქალაქო რელიგიებისა არსებობს საზოგადოებებში, სადაც წაშლილია ზღვარი რელიგიასა და საზოგადოების სხვა ინსტიტუტებს (იგულისხმება "პოლიტიკური ინსტიტუტებიც") შორის. სამოქალაქო რელიგიის ეს ფორმა ყველაზე კარგად საზოგადოებრივი წყობილების "პრიმიტიულ", "პირველად" ფორმებში ჩანს. სწორედ რელიგიასა და სხვა ინსტიტუტებს შორის მიჯნის ამგვარი <u>არარსებობა გახ</u>და მიზეზი ემილ დიურკჰეიმის შემდეგი დასკვნისათვის: სოციოლოგიური თვალსაზრისით

[1] https://www.amerikiskhma.com/a/article
https://nsdelvalle.com/biblia/que-religion-tienen-los-americanos.html

რელიგია არის საზოგადოების სიმბოლური რეპრეზენტაცია. თუმცაღა, ბელა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო რელიგიის ამგვარი ფორმა თავს იჩენს არა მარტო პირველად და არქაულ საზოგადოებებში, არამედ დღემდე არსებულ ზოგიერთ ერთობაშიც. მას მაგალითად თანამედროვე იაპონია მოჰყავს. მთავარი მახასიათებელი სამოქალაქო რელიგიისა არის ის, რომ იგი სოციალურად მთლიანად განიცდის ლეგიტიმურობას. მისი ადრეული ისტორიული ფორმები გვხვდება ძვ.წ. II ათასწლეულის მონარქიებში (რომელთაგანაც ზოგიერთმა ჩინეთისა და იაპონიის მსგავსად XX საუკუნემდე მოაღწია). ამ არქაულ მონარქიებში ვხედავთ მკაცრად ცენტრალიზებულ პილიტიკურ სისტემებს, რომლებიც ლეგიტიმაციას განიცდიდნენ გაბატონებული რელიგიის მხრიდან, რომლის ცენტრში ხელისუფალი (გნებავთ, "მირონცხებული" მეფე) დგას და მისი მთავარი ფუნქცია შემოიფარგლება არსებული წესრიგის შენარჩუნებით, რიტუალების დარეგულირებითა და კოსმიური ჰარმონიის რესტიტუირებით. ,,მირონცხებული" მმართველის წინააღმდეგ გამოსვლა კი ნიშნავდა „კოსმოსის" წესრიგში „ქაოსის" შეტანას და, ამდენად, ეშმაკთან თანაზიარობას. კულტურის ისტორიაში პოლიტიკურიდარელიგიურისფეროებისგამიჯვნისყველაზეადრეულიმაგალითებიისტორიულირელიგიების წარმოშობასთანაა (ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნე) დაკავშირებული, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი "ნაჯახის საუკუნესაც" უწოდებს. ეს ურთიერთგამიჯვნა კარგად გამოჩნდა ძველ ისრაელში, სადაც ამოს წინასწარმეტყველი და მისი მიმდევრები ცდილობდნენ პოლიტიკური მმართველობის გაკიცხვას იმის გამო, რომ მათ გადაუხვიეს რელიგიურად მისაღებ პოლიტიკურ და სოციალური ქცევის ნორმებს. სამოქალაქო რელიგიის ყველაზე მეტად თვითკმარი და დახვეწილი ფორმა ანტიკურ სამყაროში, რომის რესპუბლიკაში არსებობდა. სწორედ რომაულ სამოქალაქო რელიგიაში წარმოიშვა იდეა, რომელიც თანდათან დამკვიდრდა საზოგადოებრივი წყობის გვიანდელ ფორმებშიც, ეს იდეაა ისტორიულ–ნაციონალური გამორჩეულობისა, რომელიც გარკვეულწილად ბუნდოვნად აირეკლა „ებრაელთა ღვთისაგან რჩეულობის" თეზაში. მსგავსი გრძნობა ისტორიული ბედგანსაზღვრულობისა მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო მარქსიზმ–ლენინიზმისა და ნიშანდობლივი რევოლუციამდელი „რუსული მართლმადიდებლობისა", რომელსაც ზოგიერთი დასავლელი მკვლევარი "მოსკოვურ იდეოლოგიადაც" მოიხსენიებს. დღეს როგორც ჩემთვის ცნობილია, ბევრ ადამიანს არა მარტო რუსეთში, არამედ დასავლეთშიც აღელვებს ე. წ. "რუსული იდეის" (მოდურად რომ ვთქვათ) ხელახალი დაბადება. ისტორიულობის ან "უდავო ბედგანსაზღვრულობის" ცნების აღორძინება (თავად ტერმინი პირველად გამოიყენა 1845 წელს ჯონ ო'სალივანმა, რათა გაემართლებინა აშშ–ის პრეტენზია მთელი ამერიკის კონტინენტის ფლობაზე,) მოხდა მთელი რიგი თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგების, პოლიტიკოსების, ქრისტიან–ევანგელისტების პუბლიკაციებშიც.[1]

რამდენადაც ამერიკის კონტინენტზე ევროპიდან საცხოვრებლად ძირითადად მიდიდოდნენ პროტესტანტები და იუდეველები, ამერიკის სახელმწიფოს შემქმნელებმა და დამფუძნებელმა მამებმა გაითვალისწინეს ისტორიული გამოცდილება და შექმნეს იმ დროისთვის სახელმწიფოსა და რელიგიის დამოკიდებულების ახალი ფორმა. ეს იყო სახელმწიფოს და რელიგიის გამიჯვნა და რელიგიური თავისუფლება, რაც რელიგიურ პლურალიზმს გულისხმობდა.

იდეა სეკულარიზმი რელიგიის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს, გამომდინარეობს იქედან, რომ, ისტორიულად, ის დასავლეთში წარმოიშვა.

აშშ–ის შემთხვევაში, თავდაპირველად, ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობათა ან ღრმა მიზეზთა მთელი დიაპაზონი (პროტესტანტული) ქრისტიანობის ვარიაციებითა და დეისტების მცირე რაოდენობით იყო შემოსაზღვრული. შემდგომმა ისტორიამ გააფართოვა შეხედულებათა პალიტრა ჯერ ქრისტიანობის, შემდგომ კი რელიგიის მიღმა. მაგრამ საწყის სიტუაციაში ყველა **ტროუერი, ჯეიმზ. სამოქალაქო საზოგადოებისათვის: სახელმწიფო, იდეოლოგია, რელიგია და სამოქალაქო რელიგია რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში //არჩევანი, №2, რელიგიური სკითხების შემსწავლელი ცენტრი,–2007**

[1] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3057;

პოზიცია, რომლის მიმართაც სახელმწიფო ნეიტრალური უნდა ყოფილიყო, რელიგიური იყო. ამიტომაც ამბობს პირველი შესწორება: „კონგრესის მიერ არ უნდა იქნას მიღებული არც ერთი კანონი, რომელიც დააკანონებს რომელიმე რელიგიას, ან ხელს შეუშლის მის თავისუფალ აღმსარებლობას“.[1]

სიტყვა სეკულარიზმი არ გამოჩენილა ამერიკის პირველი ათწლეულების საჯარო ცხოვრებაში. მაგრამ ეს იმის ნიშანია, რომ ძირითადი პრობლემა ჯერაც არ დამდგარიყო. რაკი პირველი შესწორება სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნას ისახავდა მიზნად, მან შექმნა შესაძლებობა რელიგიისთვის ისეთი ადგილის მინიჭებისა, როგორიც დღეს არავისთვის იქნებოდა მისაღები. ამიტომაც, 1830-იანებში აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს შეეძლო ემტკიცებინა, რომ, რადგან პირველი შესწორება კრძალავდა ფედერალური მთავრობის დაკავშირებას რომელიმე ეკლესიასთან და ყველა ეკლესია ქრისტიანული იყო (და, რეალურად, პროტესტანტულიც), შეიძლებოდა კანონის ინტერპრეტირებისას ქრისტიანობის პრინციპების მოხმობა.

მოსამართლე ჯოზეფ სთორის აზრით, პირველი შესწორება მიზნად ისახავდა, „გამოერიცხა ყოველგვარი ქიშპობა ქრისტიანულ სექტებს შორის“, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ქრისტიანობას უნდა მიეღო მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან“. ქრისტიანობას ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის, რადგან „მომავალი ჯილდოებისა და სასჯელების“ რწმენა „არსებითია სამართლის განსახორციელებლად“. მეტიც, „შეუძლებელია, ვისაც ქრისტიანობის ჭეშმარიტების სჯერა, ეჭვი ეპარებოდეს, რომ სახელმწიფოს მოვალეობაა გააძლიეროს და მხარი დაუჭიროს მის გავრცელებას მოქალაქეებში“[2].

ქრისტიანობის ეს პრიმატი ნარჩუნდებოდა მეცხრამეტე საუკუნის გვიან პერიოდებამდეც კი. თვით 1890 წელს იმ დროს არსებული 42 შტატიდან 27 აღიარებდა ღვთის ავტორიტეტს თავისი კონსტიტუციის პრეამბულაში ან მის ტექსტში. 1892 წელს უზენაესი სასამართლოს წევრების სრული თანხმობით მიღებული დასკვნა აცხადებდა, რომ თუკი მავანს მოუნდებოდა აღეწერა „ამერიკული ცხოვრება გამოხატული მის კანონებში, მის საქმიანობებში, მის ჩვეულებებსა და საზოგადოებაში, ყველგან წააწყდებოდა ცხად გამოხატულებას ერთი ჭეშმარიტებისა... რომ ეს ქრისტიანული ერია“.[3]

ამავე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ამ მოსაზრებისადმი წინააღმდეგობის ჩამოყალიბება, თუმცა 1863 წელს დაარსდა ეროვნული რეფორმების ასოციაცია (NRA) შემდეგი მიზნით: „ამ საზოგადოების მიზანი უნდა იყოს ამერიკულ მმართველობაში არსებული ქრისტიანული მახასიათებლების შენარჩუნება. შეერთებული შტატების კონსტიტუციაში ისეთი შესწორებების შეტანა, რომელიც განაცხადებს ქრისტეს მიმართ ერის ერთგულებას და აღნიშნავს, რომ ეს ქრისტიანი ერია და მიანიჭებს ჩვენი მმართველობის ყველაქრისტიანულ კანონს, ინსტიტუციას და გამოყენებას მყარ ლეგალურ საფუძველს ქვეყნის ფუნდამენტურ NRA კანონში. “1870 წლის შემდგომ ბრძოლას შეუერთდნენ, ერთი მხრივ, ამ ვიწრო თვალთახედვის მომხრეები და, მეორე მხრივ, ისინი, რომელთაც სურდათ, ეხილათ რეალური ღიაობა სხვა რელიგიებისადმი, აგრეთვე, არარელიგიებისადმი. ეს მოიცავდა არა მხოლოდ ებრაელებს, არამედ კათოლიკეებსაც, რომლებიც მიიჩნევდნენ (მართებულადაც), რომ N NRA -ს „ქრისტიანობა“ მათ გამორიცხავდა. სწორედ ამ ბრძოლის პროცესში ჩნდება სიტყვა სეკულარიზმი პირველად ამერიკულ სცენაზე, როგორც საკვანძო ტერმინი, ხშირად _ თავისი პოლემიკური მნიშვნელობით, როგორც არა ან ანტირელიგიური.[4]

[1] თარგმანი: არჩილ კობალაძე, სანდრო ბარამიძე. „ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია“, თბილისი, 1993

[2] Sidney R. Packard, Twelfth-Century Europe: An Interpretive Essay (Amherst: University of Massachusetts Press, 1973), 193–201; Thomas Molnar, "The Medieval Beginnings of Political Secularization," in George W. Carey and James V. Schall, eds., Essays on Christianity and Political Philosophy (Lanham, Md.: University Press of America, 1985), 43.

[3] Jonathan Sheehan, "Enlightenment, Religion, and the Enigma of Secularization," American Historical Review 108, no.4 (October 2003): 1061–1080; David Sorkin, The Religious Enlightenment: Protestants, Jews, and Catholics from London to Vienna (Princeton, N.J.: Princeton University Press, 2009);

[4] John Locke, "Of the Beginnings of Political Societies," The Second Treatise on Government (New York: Cambridge University Press, 1960), 375.

სამოქალაქო რელიგიის აუცილებელი ნიშანია მისი რელიგიისთვის დამახასიათებელი ტრანსცენდენტური შემადგენელის მნიშვნელობის და საზრისის გაუფასურება. ეს შესაძლებელს ხდის რელიგიურ დომინაციათა განსხვავების შერბილებას და ღმერთის ბუნებაზე ამორფული შეხედულების ჩამოყალიბებას, რაც ყველასთვის მისაღები და გასაგებია და რელიგიის საზოგადოების და ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების წესის ელმენტებად აქცევს. ღმერთის ადამიანის ცხოვრებაში მონაწილეობის ნიშანს ხედავენ ადამიანის მატერიალურ მდგომარეობაში, ასევე ადამიანის ღმერთისადმი დამოკიდებულება უმთავრესად გამოხატება არა რელიგიური მოთხოვნების (მარხვა, ზნეობრივი ნორმების, რელიგიური სიწმინდეების თაყვანისცემა) მკაცრ დაცვაში.

სამოქალაქო რელიგია დღეს ამერიკული კულტურის ყველაზე თვალსაჩინო განზომილებას წარმოადგენს. პრეზიდენტობის კანდიდატებისაარჩევნოკამპანიისდროსცდილობენებრაულ–ქრისტიანულიტრადიციებიდან ერთ–ერთის მიმართ თავიანთი ლოიალური დამოკიდებულების დემონსტრირება მოახდინონ. ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაცია უფლისადმი თაყვანისცემის რიტუალია. დიდი პოლიტიკური მოვლენების დროს ამერიკელები ლოცვით შესთხოვენ უფალს კეთილდღეობასა და მშვიდობას. მიუხედავად კონსტიტუციით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, მნიშვნელოვან დღესასწაულებზე რელიგიური და პოლიტიკური სიმბოლოების დემონსტრირება იშვიათობას არ წარმოადგენს. სამოქალაქო რელიგია ამერიკელების, როგორც სხვა ხალხებთან შედარებით ღვთისმოშიში და ამავე დროს რელიგიური თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის, იმიჯს აყალიბებს. მიუხედავად რელიგიური მრავალფეროვნებისა მოსახლეობის 97% ქრისტიანია. რელიგიურობის მნიშვნელობას ამერიკელობის განსაზღვრაში მიუთითებდა ცნობილი ფორმულა: ამერიკელობა ნიშნავდა W-A-S-P(White-Anglo-Saxon-protestant) თეთრკანიანი–ანგლო–საქსი–პროტესტანტი. მართლაც პროტესტანტს წარმოადგენს მოსახლეობის 59% კათოლიკეები 27% და მათი რაოდენობა განუხრელად იზრდება, რაც წარმოადგენს სერიოზულ რელიგიურ და პოლიტიკურ პრობლემას ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ზოგიერთი ავტორი წერს: „ერთი ქვეყანა და ორი კულტურა.“ კათოლიკეები გამოირჩევიან ღრმა რელიგიურობით და დოგმატიკის და რელიგიური წესების დაცვით. ამერიკელებს განსხვავებულად ესმით რელიგიური პლურალიზმი. იგი გულისხმობს, რომ ადამიანს შეუძლია თავისი ცხოვრების მანძილზე შეიცვალას განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობა და ამ ცვლილების პრინციპია, თუ რამდენად ეხმარება ეს რელიგიური დონმინაცია მას ცხოვრების წარმატებით წარმართვაში.

სამოქალაქო რელიგია ამერიკაში ძლიერ დანაწევრებულია. კონსერვატორების სამოქალაქო რელიგიას ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო ლიბერალების სამოქალაქო რელიგიასთან. ისინი საზოგადოებას მეტად განსხვავებულ შეხედულებებს სთავაზობს იმის თაობაზე, თუ როგორი შეიძლება (და უნდა) იყოს ამერიკა. კონსერვატორებისათვის ამერიკული ლეგიტიმურობა ეფუძნება ,,მითოსს ერის გენეზისის შესახებ", რომლის მიხედვითაც, ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ღვთაებრივი მიზნების აღსასრულებლად მოევლინა. ისტორიის ამდაგვარი ინტერპრეტაცია ამერიკული სახელმწიფოს ლეგიტიმურობის საფუძველს წარმოადგენს. ფრენსის შეფერი თავის წიგნში **„Scheaffer Francis A Christian Manifesto“** მამა–დამფუძნებლებზე წერს: ,,ამ ადამიანებმა მშვენივრად უწყოდნენ, რასაც აკეთებდნენ. მათ ნდობა გამოუცხადეს უზენაეს არსებას, შემოქმედს, აბსოლუტურ სინამდვილეს, რომლის გარეშეც უაზრობა იქნებოდა დამოუკიდებლობის დეკლარაცია და ყველაფერი, რაც მას შემდგომ უნდა მოჰყოლოდა." ითვლებოდა, რომ ამერიკული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპები და ამერიკული ლეგიტიმურობის დღეგრძელობა ბიბლიური იდეალებისადმი ქვეყნის ერთგულებაზეა დამოკიდებული. ჰერმან მელვილი თავის რომანში წელს „თეთრი მოსასხამი".(1855) ამერიკას მოიხსენიებს, როგორც ,,ჩვენი დროის ისრაელს". ამერიკელ ერს იგი უწოდებს ,,პოლიტიკურ მესიას", რომელმაც ,,სამყაროს თავისუფლების კიდობანი უნდა ააგოს". ის, რომ ამერიკული სახელმწიფო ბიბლიურ პრინციპებს ეფუძნება, XIX საუკუნის ამერიკაში ყველაზე გავრცელებული შეხედულება იყო. მაშინაც კი, როდესაც ამერიკის ზოგიერთი პრეზიდენტის (ვაშინგტონი,

ფრანკლინი, ადამსი) პირადი რწმენა ამ სტანდარტებს არ ემთხვეოდა, ნებისმიერ შემთხვევაში მათთვის ამოსავალი წერტილი მაინც ბიბლია იყო.

კონსერვატიული სამოქალაქო რელიგია ევანგელისტებთან და ბაპტისტებთან ასოცირდება, ისინი საფრთხეს ხედავენ იმაში, რომ ერმა ებრაულ–ქრისტიანულ შეხედულებებს მატერიალისტურ–ჰუმანური მსოფლმხედველობა ანაცვალა, დარწმუნებული არიან, რომ ამერიკული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპები არანაირ ცდომილებას არ შეიცავს, რომ ამერიკული ლეგიტიმურობის დღეგრძელობა ბიბლიური იდეალებისადმი ქვეყნის ერთგულებაზეა დამოკიდებული. ის, რომ ამერიკული სახელმწიფო ბიბლიურ პრინციპებს ეფუძნება, XIX საუკუნის ამერიკაში ყველაზე გავრცელებული შეხედულება იყო. მეტად პოპულარული გახდა ლოზუნგი: ,,ერთი ერი უფლის მფარველობის ქვეშ" (One Nation under God), რომ ამერიკის კონსტიტუცია ,,უფლის მიერ იყო ნაკარნახევი". ცხოვრების ამერიკული სტილის დამცველები ცდილობდნენ, ამერიკის ისტორიაში ღვთაებრივი ლეგიტიმურობის კონკრეტული ფაქტები აღმოეჩინათ.

ამერიკული სახელმწიფოს და პოლიტიკის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მესიანიზმი. თავდაპირველად ამერიკა უფლის ჩანაფიქრს წარმოდგენდა, მოგვიანებით კი იგი ადამიანებმა უფლის განგებით რეალურად დააარსეს. კონსერვატიულ სამოქალაქო რელიგიაში ამერიკა ბიბლიურ რწმენასთანაა იდენტიფიცირებული. კონსერვატიული სამოქალაქო რელიგიის წარმომადგენელთა შორის ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ ამერიკის მისიაა მსოფლიოს ევანგელიზაცია, ამერიკის კეთილდღეობა და ძლიერება უფლის მიერ ნაბოძები წყალობაა და ეს ქვეყანა უმნიშვნელოვანესი ღვთაებრივი ამოცანების შესრულებას ემსახურება.

სამოქალაქო რელიგია გარდა სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა, ამერიკული ეკონომიკური სისტემის გამართლების ელემეტებსაც შეიცავს. აქ საუბარია კაპიტალიზმის ლეგიტიმაციაზე, სადაც მრავლადაა პარალელები ეკონომიკურ პრინციპებსა და ბიბლიურ მოძღვრებებს შორის. ,,ქრისტიანობის ფუნდამენტური პრაქტიკული პრინციპი ასეთია: ,,მიეცი და მოგეცემა", მაგრამ თუ კერძო საკუთრება არ გაქვს, ვერაფერს გასცემ." სოციალიზმი ქრისტიანობას ემტერება, ხოლო კაპიტალიზმი, თავისი არსით, არის ცხოვრების ისეთი ფორმა, რომელიც ძალიან ახლოს დგას რელიგიურ ჭეშმარიტებასთან." თავისუფალი უნივერსიტეტის პირველი პრეზიდენტის ბაპტისტ ჯერი ფალუელის თანახმად: ,,მე მჯერა კაპიტალიზმის, თავისუფალი ბაზრის და კერძო საკუთრების... ადამიანებს უნდა ჰქონდეთ კერძო საკუთრების ფლობის, შრომის, წარმატების მოპოვების, ფულის შოვნის და გამარჯვების უფლება," რადგან ,,უფალს უყვარს თავისუფლება, კერძო საკუთრება, კონკურენცია, სიბეჯითე, შრომა და მოგება. ყოველივე ეს ძველ და ახალ აღთქმაში უფლის სიტყვებითაა აღბეჭდილი." კონსერვატორული სამოქალაქო რელიგიის თანახმად, უპირატესობა კაპიტალიზმს უნდა მიენიჭოს, ვინაიდან ,,სულიერი თავისუფლება" ,,ეკონომიკური თავისუფლების" გარეშე ვერ იარსებებს.

ამერიკული სამოქალაქო რელიგიის ლიბერალური ვერსიის წარმომადგენლებს შორის კაპიტალიზმის რელიგიური აპოლოგია ტაბუირებულია. სამოქალაქო რელიგიის ლიბერალური ვერსია ამერიკაში სულ სხვა რელიგიურ ღირებულებით წარმოდგენებს ეფუძნება და სულ სხვაგვარად წარმოაჩენენ ამერიკელ ერს, ვიდრე კონსერვატორები. ლიბერალების აზრით, ამერიკა გლობალურ პასუხისმგებლობას არა მხოლოდ იმიტომ კი არ ატარებს, რომ ღვთის რჩეული ერია, არამედ იმიტომაც, რომ ის მდიდარია რესურსებით, პასუხისმგებელია მსოფლიოს უამრავ თანამედროვე პრობლემაზე და მსოფლიო თანამეგობრობის წევრია. აქედან გამომდინარე, ამერიკა მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს სიძნელეების დაძლევის საქმეში. ლიბერალური სამოქალაქო რელიგიის ბირთვს არა ებრაულ–ქრიატიანული ტრადიციები, არამედ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. https://mythdetector.ge/ka/mithi-thithqos-amerikelebi-ebrdzvian-religias-usaphudzvloa/;
2. https://mythdetector.ge/ka/mithi-thithqos-amerikelebi-ebrdzvian-religias-usaphudzvloa/;
3. https://sites.google.com/site/amerikatiko/religia;
4. https://www.amerikiskhma.com/a/article;
   https://nsdelvalle.com/biblia/que-religion-tienen-los-americanos.html;
5. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3057; ტროუერი, ჯეიმზ. სამოქალაქო საზოგადოებისათვის: სახელმწიფო, იდეოლოგია, რელიგია და სამოქალაქო რელიგია რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში //არჩევანი, №2, რელიგიური სკითხების შემსწავლელი ცენტრი,–2007;
6. თარგმანი: არჩილ კობალაძე, სანდრო ბარამიძე. „ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია“, თბილისი, 1993;
7. Sidney R. Packard, Twelfth-Century Europe: An Interpretive Essay (Amherst: University of Massachusetts Press, 1973), 193–201; Thomas Molnar, "The Medieval Beginnings of Political Secularization," in George W. Carey and James V. Schall, eds., Essays on Christianity and Political Philosophy (Lanham, Md.: University Press of America, 1985), 43.;
8. Jonathan Sheehan, "Enlightenment, Religion, and the Enigma of Secularization," American Historical Review 108, no.4 (October 2003): 1061–1080; David Sorkin, The Religious Enlightenment: Protestants, Jews, and Catholics from London to Vienna (Princeton, N.J.: Princeton University Press, 2009) ;
9. John Locke, "Of the Beginnings of Political Societies," The Second Treatise on Government (New York: Cambridge University Press, 1960), 375 ;